

მე-3 კლასი

I. ენის სამყარო

1. იპოვეთ წინადადებაში არსებითი სახელი, რომელსაც დაესმის კითხვა „ვინ?“
ბიჭი და ძაღლი ერთგულად მეგობრობენ.
ა. ბიჭი; ბ. ძაღლი; გ. ერთგულად; დ. მეგობრობენ
2. რომელია წინადადებაში ზმნა?
ოქრო საქართველოში ყოველთვის მოიპოვებოდა.
ა. ოქრო; ბ. საქართველოში; გ. ყოველთვის; დ. მოიპოვებოდა
3. შეარჩიეთ ზმნის მართებული ფორმა:
ვარჯიშით დაღლილი სპორტსმენები გასახდელთან
ა. დაჯდა; ბ. დაჯდნენ; გ. დასხდა; დ. დასხდნენ
4. როგორია შინაარსის მიხედვით წინადადება: „რა ლამაზია ჩვენი სამშობლო!“
ა. კითხვითი; ბ. კითხვა-ძახილის; გ. ბრძანებითი; დ. ძახილის

II ლექსიკა

5. რომელია საპირისპირო მნიშვნელობის წყვილი?
ა. ზარმაცი - უზარმაცესი; ბ. უზარმაცესი - სასაცილო; გ. სატირალი - მოტირალი; დ. სასაცილო - სატირალი;
6. რომელია მსგავსი მნიშვნელობის წყვილი:
ა. ვარსკვლავი - მთვარე; ბ. ღარი - ნიაღვარი; გ. დარდი - ნაღველი; დ. რკინა - ფოლადი
7. ჩამოთვლილი სიტყვებიდან იპოვეთ ისეთი, რომელიც კარგად განმარტავს სიტყვას „კეცი“:
ა. თიხის ტაფა; ბ. თიხის ქოთანის; გ. თიხის დოქი; დ. თიხის ჯამი

III სიტყვაკაზმული ქართული

8. რას ნიშნავს ხატოვანი გამონათქვამი „ერთ ყურში შეუშვა და მეორიდან გაუშვა“:
ა. ნათქვამი დაიჯერა; ბ. ნათქვამი არაფრად ჩააგდო; დ. ნათქვამი გაითვალისწინა; დ. ნათქვამი დაავიწყდა
9. რას ნიშნავს ხატოვანი გამონათქვამი „კუდით ქვა ასროლინა“:
ა. სასტიკად დაამარცხა; ბ. ქვის სროლა ასწავლა; გ. გაებუტა; დ. დატუქსა

IV წაკითხულის გააზრება (30 ქულა) საპროგრამო

ყურადღებით წაკითხეთ ხალხური იგავი „ერთი მანეთის შოვნა“ და უპასუხეთ შეკითხვებს:

ერთ კაცს ჰყავდა ზარმაცი შვილი, რომელიც ოჯახში არაფრის გამკეთებელი არ იყო. არ შეეძლო არც ერთი შაურის შოვნა. მამამისი, სანამდისაც ძალა ჰქონდა, არჩენდა, მაგრამ მოხუცდა და ვეღარ შეძლო ოჯახის შენახვა. დაუძახა ცოლს და უთხრა: ჩემი ქონება სხვა ვინმეს უნდა გადავცე, რადგან ჩემი შვილი უქნარაა, ერთი მანეთის შოვნაც არ შეუძლიაო.

ცოლი შეწუხდა: როგორ არ შეეძლება ერთი მანეთის შოვნაო?

ქმარმა თავისი დაიჩემა: აბა, თუ შეუძლია, წავიდეს, თავისი ნაშოვარი ერთი მანეთი მომიტანოს და დავუტოვებ ჩემს ქონებასაო!

ქალი მივიდა შვილთან, მისცა ერთი მანეთი და დაარიგა: წადი, შვილო, სალამოდის სადმე, შინ ნუ გამოჩნდები, სალამოს მოუტანე ეს მანეთი მამაშენს, მე ვიშოვე-თქო!

ბიჭი ასეც მოიქცა. დაბრუნდა სალამოს, მოუტანა ეს მანეთი მამას და უთხრა: გადავყევი ამ მანეთის შოვნასო!

მამამ უსუნა მანეთს, გადააბრუნ-გადმოაბრუნა, აიღო და შეაგდო ბუხარში: ეს არაა შენი ნაშოვნო! ბიჭმა გაიცინა და დედასთან წავიდა. დედას ეს ამბავი ძალიან ეწყინა. მეორე დღეს ხელახლა მისცა მეორე მანეთი და დააბარა: წადი, სალამოს გაიქეც - გამოიქეცი, გაოფლიანდი და მამაშენს უთხარი: ოფლით ვიშოვე ეს ფული-თქო!

ბიჭი ასეც მოიქცა. სალამოს გაოფლიანებული შევარდა მამის ოთახში და უთხრა: ხომ ხედავ, მამაჩემო, როგორ გადატკლევცილი მაქვს ოფლი შუბლზე, ძლივს ვიშოვე ეს მანეთიო!

მამამ ახლაც უსუნა ამ მანეთს, გადააბრუნ - გადმოაბრუნა, აიღო და კიდევ ბუხარში შეაგდო: მატყუებ, შვილო, ეგ შენი ნაშოვნია არ არისო!

შვილს გაეცინა და ესეც არაფრად ჩააგდო. დედას გული მოუკვდა, მიხვდა, რომ საქმე წახდა და ბიჭს უთხრა: შვილო, ხომ ხედავ, მამაშენს ჩვენ ვეღარ მოვატყუებთ, ის ჭკვიანი კაცია, წადი სადმე, თუნდაც ერთი კვირა დაგჭირდეს, იმუშავე, ორი შაურიც რომ აიღო დღეში, ერთ მანეთს მოუყარე თავი და შენი ოფლით ნაშოვნია ფული მოუტანე მამაშენსო!

ბიჭმა დაუჯერა დედას. წავიდა და, მართლაც, მთელი კვირა მოუწა მანეთის შოვნას. ზოგს რა გადაუტანა, ზოგს რა გაუკეთა, მოაგროვა გაჭირვებით ერთი მანეთი და მიუტანა მამას. მამამ უსუნა ამ ფულს, გადააბრუნ-გადმოაბრუნა და კიდევ ბუხარში შეაგდო: არა, შვილო, ეს შენი ნაშოვნია არააო!

ბიჭმა ახლა კი ვეღარ მოითმინა, ორივე ხელებით გამოხვეტა ბუხარში შეყრილი ფული და ყვირილი დაიწყო: მამაჩემო, მე ამ მანეთის შოვნას ერთი კვირა ზედ გადავყევი და შენ ცეცხლში მიწვავო!

მამამ უთხრა: ახლა კი მჯერა, შვილო, გული ისე დაგეწვა მაგ მანეთზე, რომ ის ნამდვილად შენი ნაშოვნია! ასე ძნელია ფულის შოვნა, იმუშავე და გექნება, არ იმუშავე და შიმშილით მოკვდებიო!

შვილს დაუტოვა თავისი ქონება და თვითონ გაემგზავრა იქ, საიდანაც უკან აღარ ბრუნდებოდა...

10. როგორ არის ბიჭი დახასიათებული იგავის დასაწყისში?

ა. მშრომელი; ბ. ბეჯითი; გ. ზარმაცი; დ. მოუხერხებელი

11. რატომ გადაწყვიტა მამამ ქონება არა შვილისთვის, არამედ სხვისთვის დაეტოვებინა?

ა. ნაწყენი იყო შვილზე; ბ. შვილი უქნარა ჰყავდა; გ. მშობლებს პატივს არ სცემდა; დ. შვილი შორს ცხოვრობდა;

12. როგორ მოიქცა დედა მას შემდეგ, რაც ქმრის გადაწყვეტილება შეიტყო?

ა. შვილი შრომისთვის არ ემეტებოდა და მამისთვის მისაცემ ფულს თვითონ აძლევდა; ბ. შვილს მოსთხოვა, ემუშავა და ფული მოეტანა; გ. ქმარს უსაყვედურა ამ პირობის გამო; დ. შვილს გაუბრაზდა სიზარმაცის გამო.

13. რატომ უგდებდა მამა შვილს ბუხარში ფულს?

ა. შვილზე გაბრაზებული იყო; ბ. მოხუცებულობის გამო, ვერ ხვდებოდა, რას აკეთებდა; გ. შვილს ამოწმებდა, მართლა მისი ნაშოვნია იყო თუ არა; დ. გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ ქონებას სხვას უტოვებდა

14. რამ დაარწმუნა მამა, რომ ბიჭმა მართლა თავისი შრომით გამოიმუშავა მანეთიანი?

ა. ბიჭს გაეცინა და დედასთან წავიდა; ბ. ბიჭმა პატიება სთხოვა; გ. წამოხტა და ცეცხლიდან ფულის გამოღება სცადა; დ. დიდი ხნით სახლში არ გამოჩენილა

15. როგორ გესმით ფრაზა: „...თვითონ გაემგზავრა იქ, საიდანაც აღარ ბრუნდებიან“?

ა. გარდაიცვალა; ბ. ძალიან შორს წავიდა; გ. თავის სამშობლოში დაბრუნდა; დ. სოფელში დაბრუნდა

16. რომელია ფრაზეოლოგიზმი მოცემულ წინადადებაში?

„მატყუებ, შვილო, ეს შენი ნაშოვნია არ არისო!

შვილს გაეცინა და ესეც არაფრად ჩააგდო.“

ა. „შენი ნაშოვნია არ არის“; ბ. „მატყუებ, შვილო“; გ. „შვილს გაეცინა“; დ. „არაფრად ჩააგდო“